

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/22

(ოქმი N 14)

ქ. ბათუმი

30 ოქტომბერი 2018 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს
მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის ყოველთვიური და
ყოველკვარტალური ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35⁹ მუხლის პირველი პუნქტის
„ე“ ქვეპუნქტის და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და
რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტის (მიღებული: 14.07.2016) მე-16 მუხლის
საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და
რადიო“-ს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის ყოველთვიური და
ყოველკვარტალური ანგარიშის ფორმები დანართი N1 და დანართი N2 შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე „ajaratv.ge“.
3. გადაწყვეტილება ძალაშია მიღებისთანავე.

დანართი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს
მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის ყოველთვიური და
ყოველკვარტალური ანგარიშის ფორმები.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი

მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის ყოველთვიური
ანგარიში

შინაარსი

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები;
2. იმ გადაცემათა ჩამონათვალი/აღწერილობა, რომლებზეც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა

მონიტორინგი;

3. შესაბამისობა პროგრამულ პრიორიტეტებთან შემდეგი კრიტერიუმებით:

- ა) შინაარსი; (მონიტორინგის განხორციელების პერიოდში კონკრეტული გადაცემის თემა)
- ბ) პერიოდულობა; (რამდენ გადაცემაზე განხორციელდა მონიტორინგი)
- გ) ხანგრძლივობა;
- დ) აქტუალობა;
- ე) ფინანსები;
- ვ) სამივე პლატფორმის დაფარვა;
- ზ) სამიზნე აუდიტორია;

4. პროგრამული პრიორიტეტების შესრულება. (საანგარიშო პერიოდში)

5. საქმიანობის შეფასების საზომები.

6. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები; (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

7. შენიშვნები და რეკომენდაციები.

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები

ანგარიში მომზადებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტების, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული/დადგენილი პროგრამული პრიორიტეტების და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის დებულების შესაბამისად.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის ყოველთვიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსი.

მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახური ვალდებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს ანგარიში წარუდგინოს ყოველი თვის 05 რიცხვამდე.

2. იმ გადაცემათა ჩამონათვალი/აღწერილობა, რომლებზეც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მონიტორინგი

3. შესაბამისობა პროგრამულ პრიორიტეტებთან

(გადაცემების შერჩევა: მრჩეველთა საბჭოს ან დირექტორის მითითებით, ხარისხისა და მონიტორინგის სამსახურის გადაწყვეტილებით, ხარისხის კონტროლის ჯგუფის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, მაყურებლის შეფასების ან გამოხმაურების და სხვადასხვა ჯგუფების შეფასების შემდეგ)

ა) შინაარსი; (მონიტორინგის განხორციელების პერიოდში კონკრეტული გადაცემის თემა)

ბ) პერიოდულობა; (რამდენ გადაცემაზე განხორციელდა მონიტორინგი)

გ) ხანგრძლივობა;

დ) აქტუალობა;

ე) ფინანსები;

ვ) სამივე პლატფორმის დაფარვა;

ზ) სამიზნე აუდიტორია.

4. პროგრამული პრიორიტეტების შესრულება (საანგარიშო პერიოდში)

5. საქმიანობის შეფასების საზომები

მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა - სატელევიზიო გადაცემა-კვლევის შედეგები-ტენდეციები (შეფასებები წლის, თვის ან კვირის მიხედვით, ანალიზში შესაძლოა იყოს გასული წლის მონაცემებიც)

ზეგავლენა - მაყურებელს ეხმარება, გაერკვეს რეგიონში, ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებსა და საკითხებში - მაყურებელს უქმნის შესაძლებლობას, იფიქროს მოვლენებზე ახალი და განსხვავებული კუთხით - მაყურებელს უქმნის მოტივაციას, ჩერთოს სხვადასხვა მოვლენებსა და აქტივობებში.

მაუწყებელი ქმნის ისეთ პროგრამებს, სიუჟეტებს, რომლებზედაც მაყურებლებს შემდგომ ერთმანეთთან საუბარი მოუწოდებდა - მაუწყებელი ქმნის ისეთ პროგრამებს, სიუჟეტებს, რომლებიც იწვევს გამოხმაურებას, (სოციალურ ქსელშიც) რეაგირებას, დღის წესრიგის ცვლილებას სამოქალაქო საზოგადოებაში ან პოლიტიკაში.

მაუწყებელი არ ცდილობს მაყურებლით ფარულ მანიპულირებას რაიმე სპეციფიკური პოლიტიკური ან კომერციული ინტერესების სასარგებლოდ.

სტიმულს აძლევს მომხმარებელს აღიქვას რეალობა ახალი და განსხვავებული კუთხით.

სტიმულს აძლევს მომხმარებელს, შეცვალოს საკუთარი ცხოვრება უკეთესობისკენ.

პასუხიბს მომხმარებლის ინტერესებს და საჭიროებებს.

წარმოაჩენს და პოპულარიზაციას უწევს საქართველოს თვითმყოფად კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას.

პოპულარიზაციას უწევს მსოფლიო კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას.

მრავალფეროვნება - წარმოაჩენს მრავალფეროვან მსოფლმხედველობებს, პოლიტიკურ თავლთახედვებს და ინტერესებს - სათანადო ყურადღებას უთმობს საზოგადოებას სხვადასხვა ჯგუფისათვის მნიშვნელოვან თემებს, პრობლემებს, ინტერესებს.

აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას იმ ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედია გარემოში, მათ შორის რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს, შშმ პირებს, რეგიონის მოსახლეობას.

კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ცრურწმენებს, სტერეოტიპებს.

წარმოაჩენს მრავალფეროვან კულტურას და თვალთახედვებს, ადგილობრივ და მსოფლიო ტენდენციებს.

აძლევს გამოხატვის შესაძლებლობას სხვადასხვა გემოვნების მქონე ჯგუფებს, რომელთა ხმა არ ისმის მედია გარემოში; ასახავს ახალ მიმდინარეობებს.

ხარისხი - აშუქებს მოვლენებს ოპერატიულად, მიუკერძოებლად და ობიექტურად - აშუქებს მოვლენებს დაზუსტებულად, სანდო წყაროებზე დაყრდნობით - საკითხებს გადმოსცემს გასაგები ენით - მოიძიებს და წარმოაჩენს ექსკლუზიურ და აქტუალურ ინფორმაციას, თემებს - წარმოაჩენს მოვლენებს ახლებური და განსხვავებული კუთხით.

უზრუნველყოფს დისკუსიებისა და დებატების ისეთ ფორმატს, სადაც შესაძლებელია რაციონალური აზრის ჩამოყალიბება, სიღრმისეულობა.

მაყურებელს ეხმარება დაინახოს რეალობა, აზრი გამოიტანოს მიმდინარე მოვლენებიდან - აჩვენებს მაყურებელს თუ როგორ აისახება (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები მასზე - აანალიზებს, არის თუ არა (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები ისეთი. როგორიც ჩანს - ხსნის, თუ რატომ არის (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები ისეთი, როგორიც არის.

ანახებს მომხარებელს თუ როგორ აისახება (კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) მოვლენები მასზე - სიღრმისეულად აანალიზებს მოვლენებს (კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) და წარმოაჩენს თუ როგორ ეხება პიროვნებას, საზოგადოებას და სამყაროს.

გამორჩეულობა - ქმნის მუდმივ ფასეულობებზე ორიენტირებულ პროდუქციას, რომელიც არ არის წარმავალ, ამ წუთიერ რეიტინგზე ორიენტირებული.

არის ექსპერიმენტების და ინოვაციების ადგილი - პროდუქცია არის ჟანრობრივად მრავალფეროვანი - იყენებს სხვა არხებისგან განსხვავებულ შემოქმედებით მიდგომას მოვლენების და საკითხების გაშუქების დროს - გამოირჩევა მაღალი სარედაქციო სტანდარტით.

6. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

7. შენიშვნები და რეკომენდაციები

მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის კვარტალური
ანგარიში

შინაარსი

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები.
2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ყველა სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ პროდუქტის მონიტორინგი.
3. პროგრამული პრიორიტეტების შესრულების/შესუსრულებლობის შესახებ სრული ინფორმაციის მოწოდება.
4. შესაბამისობა პროგრამულ პრიორიტეტებთან.
5. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
6. შენიშვნები და რეკომენდაციები.

1. ანგარიშის მომზადების სამართლებრივი საფუძვლები

- ✓ ანგარიში მომზადებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტების, საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მრჩეველთა საბჭოს მიერ განსაზღვრული/დადგენილი პროგრამული პრიორიტეტების და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის დებულების შესაბამისად.
- ✓ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის კვარტალური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსი.

.მონიტორინგის/ხარისხის კონტროლის სამსახური ვალდებულია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს კვარტალური ანგარიში წარუდგინოს კვარტალის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო“-ს ყველა სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ პროდუქტის მონიტორინგი.

3. პროგრამული პრიორიტეტების შესრულების/შესუსტულობის შესახებ სრული ინფორმაციის მოწოდება.

4. შესაბამისობა პროგრამულ პრიორიტეტებთან:

ა). სატელევიზიო, რადიო და ინტერნეტ პროდუქტის თანხედრა მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებთან.

ბ) სამაუწყებლო ბადეში განთავსებული პროდუქტის ზუსტი შესაბამისობა მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებთან.

გ) სამაუწყებლო ბადეში განთავსებული პროდუქტის შესაბამისობა მაუწყებლის პროგრამულ პრიორიტეტებში განსაზღვრულ პროდუქტის განთავსების პერიოდულობასთან.

დ) ფინანსები.

დ) სამივე პლატფორმის დაფარვა.

5. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

6. შენიშვნები და რეკომენდაციები.